

F 24  
1887

# Թ Թ Ա Ց Ր Ո

ՍԱԿՐՈՎԵԼ-ՀՅՈՒԽԱՌ ՍԱԼՈՒՄԱԿԱՄԱԿՐՈՒԾ ՍԱԲԵԱՄԱԿՐՈՒԾ ՑԱԽԵԴՐՈ

1887 ՄԱՅԻՍ

№ 4

ԹԱՑԱԿՐՈՎՈՒՄ 1.

Ճախետ ճանես: յարտակ վլ. 5 մ., նաև. վլ. 3 մ., բայց եռմ. 15 ք.  
և յուս մուլյա մուլյա եա: տօնուութիւն հյաժայ. յանդուանիւն. ցուռամուն  
եպսար. յալանձամյետան. ագրացու ըակա շյ մուսուցու շտատ զուս: Տիֆ-  
լիսիւ, վեր բարձրացանու վուցնու մալանութիւն: ենուու պարունակութիւն ալուսանցուն վաճառուածուն մալանութիւն: յարտակ վուցնու մալանութիւն և նույնականացուածուն:

Տաջանուած ճանունու վյուրուցուն վարչուածուն (յարտակ վուցնու վարչուածուն) գարուազուն  
շնծա ոստ ճանունու. ոյ Տաջուրութիւն մուռեանու վյուրուցուն հյաժայ. պա-  
տիւրուցու. հյաժայ. առա յուսուցուն վյուրուցուն յայն գարուազուն և մատ  
շնծա մույր-մույրաս.

Սակայն վյուրուցուն պատ մուսեյն վարչուածուն: Տակալո, գարու և Տա-  
պահուածուն ագրուու ճանունու վարչուածուն:

Ճանուած ենուու մուսայիւն յայն քյուր առ վարմաշահանուն և  
մուսայիւն մեսատամադյ առ վարմաշահանուն, մաս մյաժեց եռմյուն առ  
գարուազուն:

Կյանքահանու յանդուան ըակա պահանջանես: այսուուշուածուն մարտին  
նարուաչափուն սակայն վարչուածուն № 48.

Քաշու յարտա մուռնու ճանուած յայն և սեպա վյուրուցուն տագուն  
նաբնածուն սակայն իշխանուն և մատ մուսայիւն հյաժայ. պատիւրուցուն,  
ամուս մյաժեց առա յարտա վյուրուցուն առ ճանուած յայն, առմելուն մյա-  
ժեց ագրուստ առ յայն գարուազունուն: Սերեբրան. ս. դ. №  
48, Բարիսովա.



**ჩ**ვენ შევიტევთ, რომ ამ დღეებში ჩვენი საუკარელი და ნიჭირი პოეტი აკაკის ოცდა წელი წლის იუბილეის გამართვას ანირებენ. სასურველია რომ ამ ფრიად სასიამოვნო დღესასწაულობაში ეველა ქართველმან მონაწილეობა მიღდოს. ამ დღეს ჩვენი დრამატიულ დასისაგან წარმოდგენილი იქნება იუბილიარის დრამა „თამარ ცხილი.“

ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში იქნება სურათი და მოკლე ბიოგრაფია ჩვენი სახელოვანი პოეტის აკაკისა.



დაშორებულ მეგობარს.

ვიდრე ადამსა და ევას  
 კახენდა თურმე ღმერთი,  
 მზე და მთვარე ჰერმობდნენ ლხენას  
 და უკვარდათ ერთმან—ერთი.

სიუვარულობდნენ, ხარობდნენ,  
 მარად ერთად მოგზავრობდნენ;  
 მთელს ქვეუანას უხვსა სხივებს  
 არ აკლებდნენ, მოაფენდნენ.

მათი მგზავსი, სანატრელი  
 არ უოფილა კიდევ სხვაცა;  
 ტებებოდა უგელა მნახველი,  
 ქვევით მიწა, და ზევით ცა.

მაგრამ როდესაც მიწაზედ,  
 ბოროტება უცებ გაჩნდა  
 და იხილა მაღლა ცაზედ,  
 მთვარე და მზე რომ ერთად სჩნდა,

ცილის წამება, განკიცხებ  
 დაუწეო მათ მეგობრობას;  
 მოსცხო ჩირქი და ტალახი,  
 მათს სიუვარულს და ერთობას.

მისმა ენამ მზე მთვარესა  
 დააშორა საშუდამოთ;  
 შიძით ერთის მეორესა  
 ნახვა აღარ აქვთ საამოთ.

---

მას აქეთ ცალ-ცალკე დადის  
 მზე და მთვარე თავის გზაზედ  
 და როდესაც ერთი ჩადის,  
 თავს აჩენს მეორე ცაზედ.

---

იშვიათად თუ მოხდება,  
 შესვდებიან ერთმან—ერსთა,  
 მზე აენთება, წითლდება,  
 მთვარე კრთება, ჰყარგავს ფერსა...

---

ჩენც, მვირთასო ცილი გვწამეს,  
 ბოროტ ენით დაგვაშორეს;  
 მოგვაკლეს გულის სიამეს,  
 გერ გსედავთ ერთი მეორეს.

---

მაგრამ ჩემს გულში შენს სახეს  
 ვატარებ ბნელს სიცოცხლეში;  
 მოგვადები, სელს არ ავიღებ,  
 სავიუოლებ სამარეში.

დ. ლ—. ბ.

1887 წ.

15-ს ასწარს.

მოქლე პიოგჩაფიული ცოლანი.

გოლტერი.

გაგრძელება. (\*)

ერთი უმთავრესი შიზეზი გოლტერის გავლენისა უოგელ გეარ  
 საზოგადოების წოდებებზედ, უთუოთ ის იყო, რომ მის ნაწერებ-  
 ში უკალიგან მოსჩანდა უზომო სიყვარული გაცობრიობისადმი,—  
 ამის უარ მეოფელი ან სრულებით უმეტანი უნდა იუგნენ ან გან-  
 ძრას თვალებს იხუჭამდნენ. გოლტერმა გაცის ნაკლულევანებათა  
 ბრძოლას შესწირა მთელი თავის სიცოცხლე. გოლტერის სიცო-  
 ლი—კილკა და სხვა უდიდესი სიუვარული იყო. უოგელს მის ნა-  
 წერებში მკითხველი შეხვდება ასეთს პატიოსანს სიტუაციას, რო-  
 გორც: „მე მწამს ღმერთი და მიუვარს გაცობრიობა; ამ ეს არის  
 ჩემი რწმუნება.“—

რაცე შექება გოლტერის ფილოსოფიას ოწმუნებაზედ: მისს  
 მიმართულებას უფრო ატეისტური ხასიათი აქვს...  
 ამისა გარდა გოლ-

ტერის ფილოსოფიას აქვს ერთი დაუგესებელი თვისება—  
 სიცხველე, რომელსაც სანდისხან უფრო მსარტულება ეტობა, მას  
 არ სკეროდა რომ ბოროტებას ბოლო არა ჰქონდა და რაღაც გა-  
 იმედოვნებული თავმოწანებით ჰქიცხავდა უოგელგარს უზნეობას.  
 „მართალია—ამბობს იგი—ბოროტება ბოროტებად ჩჩება, რო-  
 გორც ავადმყოფობა ავადმყოფობად, მაგრამ ავადმყოფობასაც  
 აქვს ბოლო. საჭიროა მხოლოდ ჯუროვანი ექიმობა და წამ-  
 ლობა“—და მერე უმატებს: „როგორც ყელგან ოქრო ერთ  
 ფერის და თვისების არის ხოლმე ჩინეთში და ამერიკაშიაც,  
 აგრეთვე გულის პრინციპები და მოძრაობანი უფელგან ერთი  
 ნაირია, ერთი და იგივე თვისებისაა, კაცი ვერ შესცელის პატი-  
 ოსანი და კეთილის გულის თქმას; ველური ხალხიც კი თა-  
 ვის დედ-მამას პატივსა სცემს, ჰელიკაციას ბოროტებას და სი-  
 ცრუვეს, მკვლელებს სჯის და სხვა... და მერე— „ქვეყანაზედ

ომის უარესი არაფერი არ არის, მაგრამ ყველა ხალხი სიმართლის დასაცემად ებრძებან ერთი მეორეს...

ყველა ფილოსოფოსნი, ზორასტრიდან მოყოლებული ეხლანდელი ლორს შეკრძგრამდე შეხედულობით და მიმართულებით ზნეობრივ სწავლაში და პრინციპებში ერთი და იგივე აზრისანი იყვნენო: სწორე შეხედულებას მაშინ ვიქრინებთ სიმართლეზე და უსამართლოებაზედ, როდესაც შევიგნებთ რომ ორჯერ ორი ოთხია. მს ასეა და მაშასადამე ყველა კაცს ვალად სძევს რომ იმან ყოველივე თავისი ცდა მოიხმაროს კეთილის და ზნეობრივის საქმის მოსაქვედებლად“ —

ჩეენ წინადევა გსთქვით, რომ ვოლტერს ინგლისში დადი სარგებლობა მოუტანა. მაშინდელი ინგლისური გონისტიუცია ვოლტერს იდეალურ წესწუბილებად მიაჩნდა. ამ მისი სიტყვები: „ინგლისური კონსტიტუცია მარტო ერთია მთელს ქვეყანაში, სადაც მეფეს უფლება აქვს კეთილი საქმე აწარმოოს და იმავე დროს ბოროტების და ძალდატანების ჩადენას კი მოკლებულია. აქ ყველას შეუძლიან თავის სამშობლოს სარგებლობა მოუტანოს, აქ არ ასეებოს ბატონ-ყმობა.“

აა თქმა უნდა რომ ამის მნახველს მაშინდელ საირჩნევთის და გერმანიის მართებლობა არ მოეწონებოდა. ვოლტერი შეუდგა თავისი ერთი შოღილიტივური ბედ-იდზღვის გაუმჯობესობას, რამდენადაც კი ეს შორმა მისთვის შესაძლებელი იყო. მართალია ვოლტერს თავისი შოღილიტივური აზრები ერთ წიგნში არ მოუწევია, მაგრამ ყველა მის წვრილს წერილებში და ლექსებშიაც ნათლად მოჩანს მისი სურვილი და იდეალი.

ვოლტერის დრამატიული თხზულებანი საკსენი არიან თავისუფლობის ქებით და პოლიტიკური რეჟიმის დევნით. ვოლტერი თუმცა თავის თანამედროვეთ, მონტესკიეს და რუსესთვის პოლიტიკურ შეხედულობაში, უფრო წერილმანებში, არ ეთანხმებოდა, მაგრამ მათ ერთი მიზანი და წარიდი წჭონდათ...

ვოლტერი თხზულობს, რომ ყველაფერი სინიდის და სიმართლეს ემთხვეოდებოდეს; თხოვულოს...

სწავლის გამუჯობესობას, სიტუაცის და მწერლობის თავისუფალ მოქმედებას და შეურტყეველ სიმართლეს.

გოლტერი როგორც პოეტი ცდიდინ აქვთ ზოგ-ერთს მისს თაუგანის მცემლებს, მაგრამ სიმართლე თხოვლობს კსოვებათ რომ, გოლტერი თითქმის თორმეტის წლისა არც კი იყო, როდესაც დაიწერ ლექსების წერა, მაგრამ საზოგადოთ მისი ლექსები იძლენს არაფერს არ წარმოადგენენ რამდენსაც ღაპარავობენ მასზე. საზოგადოდ ფრანცუზული ლექსები რაღაც უცნაურ ლექსით წერას ემთხვიდებან მათ მოქმედებულად რითმის სიმდიდრე აკლია; აკლია აგრეთვე ის ჭარონია, რომელსაც ჩენ შევსვდებით სხვა ხალხის და ეროვნების შოეზიაში. გოლტერის ლექსები არ იუკნენ სამდვილად პოეტურის ცეცხლით გამოხარის. გოლტერი უფრო ჭირიანი პოეტი იყო, ვიდრე პოეტი—ფანტაზიორი; მაგრამ სულ სხვა არის გოლტერის სატირები. აქ სრულიად იშლება მისი ნიჭი, მისი გენიოსობა, ჭირა, სიმახვილე; სტილი და შხამი ერთ მეორეს ეფიბრებან სიმდიდრეში და სიუსკეში. სატირიკოსებში გოლტერის ბადალი არც ჰქოლია, არც ჰქვნდა და კვირებთ არც მეოდება.

გალიკო—ია.

## ურიელი აკასტი

(გაგრძელება).

გამოსვლა გამოსახვა.

მანასმა, დე-სილვა.

გმიადლობ მოსკვლისთვის. შენ გსურს მშეიდობა  
ამ ჩემს სახლშია შემოიტანო...

ერთს ამას კი გთხოვ, ნუ დაიწივებულ  
ნურც არაფერსა ნუ დამაუკედრებ!  
ნურც ნუგაშეს მცემ!...

### ცილვა.

გასაოცარი  
 ქართველი სარ შენ! შენზედ ძალიან  
 არავინ დარღვეა არ ერიდება  
 და შენ ჭი იგი არც ერთხა წამსა  
 არა კრძალება...!

### განასე.

სამს მოთათბირება  
 კლაპარეგი?

### ცილვა.

ეხლა მოვდიგარ.

### განასე.

უარ-უაფისთვის  
 შევლა მზად არის? მსურს მაღა მოვრჩე  
 უოველისფერის, რომ უგუნურება  
 არ გაძლიერდეს...

### ცილვა.

უგუნურებას  
 შენ მას ეძახი, რაც შე მჩანს საჭმელ  
 სარწმუნოების.

### განასე.

ჭრა, დიაღ, დიხღ,

იგი მტრობაცა, რომელიც ეხლა  
 შესავარებითა შე მასეს მიგებს  
 და იგი შერის გებაც, რომელიც  
 უღმობლად მდევნის — შენის აზრითა  
 სარწმუნოების საჭმელა, რაღა?  
 თოხაი და მას მომხრები  
 შე ეხლა თავსა აღარ მიკრიუნე

და ბირჟაზედაც იმას ცდილობენ  
 ორგორ მავნონ და ორგორ დამღუშონ.  
 იმათ სუჟექტამ გარგად იციან,  
 ომ რაგი გაჭირს უოველის მხრიდამ  
 გზას შეუგრძენ, — დაიღუპება...

### სილვა.

მოთმიწება და იმედი გქონდეს!

### მანასე.

რის მოთმიწება და რის იმედი,  
 როდესაც ერთად ერთი წაში მე  
 საცხოვრებლიოდამ სრულიად დამცრის...  
 თუ ითხაის უნდა დამღუშოს...

### სილვა.

მანასე!

### მანასე.

კმარა!... მხოლოდ ამას გთხოვ,  
 რომ საქმე დროით დაბოლოდოვთ.  
 გასმის თუ არა? დროითა მეთქი!  
 აკასტას შენ თვით ეფაშარავე;  
 აუხსენ, იგი როგორ მოიქცეს,  
 რომ ეს ოთხივეხნი რაბინებისა  
 უფრო მეტად არ აგვიყაფანდნენ...  
 ურიელიცა... ეხლავ აქ მოგა...  
 უოველის ტერი უთხარ... მე წაგად...  
 მაგრამ, დე-სილგა, ნუ დამიმაღავ—  
 ჩენს მეტი ხომ აქ არავინ არის+ /  
 შენ თვითონაც ხომ ეს რაბინობა  
 აგრე რიგათა თვალში არ გიზის..  
 და მართლაც, განა შესაძლო არის  
 გიყოთ ნამდვილი მართლ-მორწმუნენ?  
 შეიძლება, რომ კაჩმა ძევლ-ძული,  
 მეცნიერების დასმარებითა,

თავის თავს თვითონ აუსუსულოს  
 და გეაღად ისევ იძევე მივიღეს,  
 სიღამაც წინად გამოვიდა ის!  
 როდესაც ბავშვებს ვასწავლით სწამდეთ,  
 რომ რაოვერ-ორი სუთი არისო,—  
 მე ამაშია არ კიდავ სიძრწეს;  
 მაგრამ წადი და შეეწევ შენა  
 ფილოსოფიურს მეტნიერებას,  
 რომელიც სარწმუნოებაშია  
 უარს არ ჰქოვს საიდუმლოებას  
 დორა წავიდე, მე კანტორაში  
 ბეჭრი რამა მაქებს საანგარიშო (გადის).

### გამოსვლა მოოთხე.

#### ურიელ და ცილვა.

**ურიელ (კარებში შედგება).**

დე-სილვა, მე კარ! დაწეუვლილს კაცეს  
 განა ნება აქებს მიუახლოვდეს  
 წმინდა სუდების დამცემდნ?

#### ცილვა.

ურიელ,

უუწმინდესი საქმე გაცისა—  
 მოყალეობა სინიდისისა,  
 სამწუხაობა, არის ის, რასაც  
 იგი არ ეპრძეის იშვიათადა  
 და რასაც იგი იშვიათადა  
 იქმს თავის ნებით. მე კი, აკოსტე  
 დაგსაჯე შენა ჩემს უნებურად.

#### ურიელ.

დააღ, მეც ვიცი. შენ ერთად-ერთი  
 გზა დამიტოვე გამოსასკლელად

და იმა გზისა აღჩევა, სილვა,  
 მე არ შემეძლო...

### სილვა.

გულს უსაშიან,

რომ შენ გულითა გვალად ეპუთენი  
 ისრაილის ქეთ, ოუმც შენს საბუთებს  
 მე ვრაცხავ საგნის შეუფერებლად,  
 როგორათაც კოვლი იგდითის ტრიობას  
 კუმავისაგან მოვლინებულად.  
 მაგრამ ასეა თუ ისე არი,—  
 მე მაინც უნდა მოგეხადამო,  
 ვით მომავალსა ჩემსა ნათესავს,  
 და სედს მით უფრო სიამოვნებით  
 გარომეპ, რომ რაგი ასე გათავდა  
 საჭე, ამსტერდამს გვდავ ეულება  
 მადალა ჭიჭის კაცი.

### ურიელ.

მეორე ხაზ

გოვით მე ეგა? მართადი არის,  
 აწ სიუკარული ან გულისისა  
 მომევლინა მე—მაგრამ მითხარი,  
 ნება მაჭეს იგი მივითესო მე,  
 რის მითვისებაც ქანახის მაღით  
 არ შეიძლება...

### სილვა.

საქმეც ეგ არის,

რომ შეიძლება, მეტობარო. დღეს  
 სამი ქაცისა თათბირს დავესწიო.  
 მათ გადასწევიტეს შენ სასარგებლოდ:  
 განდერსტრატენის სიძესა ჩვენა  
 ძიებ მეტობად არ მოგეძრებოთ,  
 შესანებლებად როცა მოგით.

წადი უშიშრად აკრძალულს ადგილს.  
 სიხადოდის კარს სამჯერ დაჭარი;  
 იქ მოგინდება მცირე სანს მოცდა,  
 ამ დროს თუ ხალხი შემოგეხვილა,  
 შენ ეს, ურიელ, ნუ შეგაშფოთება...  
 რა გუეთ? სსგაფრივ არ შეიძლება...  
 მერე გამოვა მოსამსახურე  
 და უფროს რაბინ ბენ-აკიბასთან  
 წაგიუგანს სჯულში გამოსაცდელად.  
 ასე ინებეს მოთათბირეთა.

### ურიელ.

გულმოდგინებით გიგდიბ მე უურსა —  
 და, სწორედ გითხრა, ძალიან მიგვირს.  
 მე მომიუეანეს აქ მხოლოდ მისთვის,  
 რომ შენ, დე-სილვა, მოგესალამო;  
 შენ კი აქ რაზედ მესაუბრები?

### სილვა.

შენს უარ-უოფაზედა.

### ურიელ.

რაზედა?

### სილვა.

შენ მართალია ძალიან გიკვირს,  
 მაგრამ იმასაც ნუ დაივიწყებ,  
 რომ მხოლოდ ერთის უარის-უოფით  
 აიცდენ წევეგლას!...

### ურიელ.

უარის-უოფით?

ებ სატუკა ისე მეჩოთირება,  
 რომ თვით ზაგენიც ძლივსა ჭიდავენ  
 მაგის წარმოთვმას... სილვა, ვინ გითხრა,

რომ მე იმედი მაჭეს განვიწმინდო  
წევლისაგანა?

### სილვა.

ას, ას, ურიელ!

ასა დაფიქრდი, რას ამბობ მაგას!  
 ნუ თუ ის გინდა, რომ შენი როტება  
 გულისა ნებად გადააჭრილ?  
 შენ იმაზედ სომ დამეთანხმები,  
 რომ ვინც განდგომილს მიათხოვებს ქალს,  
 თრივ ერთია—ვითომ ის უთქვაშს—  
 „მე აღარა ვარ ეპრაელია!“  
 ამასთან სალხი აგილებს რასმე,  
 თუ რომ მაგ აზრით შენ აქ დარჩები:  
 ქრისტიანებიც ჩვენ გაგვიწევენ  
 მფარველობასა.

### ურიელ.

დააღ, მეც ვიცი,

და ამისთვისაც ეხლავე ვივიქრობ,  
 სადა და როგორ მოვისოვო მე  
 მცირე რამ საქმე, რომ მით შემეძლოს  
 ბეჭ-ერულის ჩემი თავის დარჩენა...  
 დე-სილვა მაინც დამიგდე უური:  
 თუ ერთხელაცა არის როდისმე  
 სთვლიდი შენს თავსა მეცნიერადა,  
 თუ ერთხელც არის შენი გონება  
 ციურის მადლით გაბრწყინვებულა,—  
 ვით მეუბნები: „უარი-ჰეავა!“  
 აგრე გულგრილად?

### სილვა.

შენანიება

გმირსაც ამშენებს.

### ურიელ

გმირმა ინანოს

ახალი ღვიძლის ჩადენისათვის.

### სილვა.

გაცმა რომ თავის დანაშაული  
თვითონ შეიგნოს—ცოდვა როდია.

### ურიელ

მე ჩემს თავთან კარ დანაშაული,  
რაბინებთან კი ცამდის მართალი.

### სილვა.

მღვდელი თავისთვის როდი თხოულოს  
მონანიებას.

### ურიელ.

ღვთისათვის? მის გზას  
თვით მე ვიპოვი.

### სილვა.

ას, უფრეს მე,  
აი სწორედა ეგ მიკლავს გულსა,  
რომ შენ დაეძებ ღირსებას იქა,  
სადაც მის ძებნა არ შეიძლება!  
ხომ იცი რომე საჭირო არი  
გაცო სინაული? სინაულს მარად  
მნიშვნელობა აქვს კველა ხალხისთვის,  
რომ დაცულ იქნას წესი-და მღვდელიც  
ამისთვის არის დაუკარგული...  
აბა განსჭვრილე გონების თვალით  
ეს წესი, იგი უგელა უერთა—  
და შენ კი რა ხარ? ბერგი, ატომი  
ამ განუსაზღვრელ ქმნილებათ შორის  
და სხვა არ არა...

୪୬୦୩

## ନୀଳର ତାଙ୍ଗିକାରୀ

တိုင်းတေသန ပါမဲ့ မြန်မာနှင့်

၆၀၉၁။

ହୋଇ, ତା କି ତାଙ୍କୁ

ଓঁ পুরোহিত

ପ୍ରକାଶକ.

ঢ়ুঢ়ু ঢ়ুঢ়ুঢ়ুঢ়ু

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ

(გაგრძელება იქნება).

კოიტივა და ბიბლიოლეგიაზე.

რამდენიმე მოსაზრება ჰოთა რუსთველზე.

(გაგლეოგიბა.)

ძელ მწერალთაგან დარჩენილია ერთი ჰაზრი და ეს ჰაზრი ეხლაც გავვიგონია ჩვენა, რომ შოთა რუსთველის სახელი და გვარი თვით „ვეფხვის ტყაოსანში“ უნდა იყოს ჩართული კიდურ-წერილობითაც. ზოგნი ჰევიქრობენ რომ ეს „ვეზხვის ტყაოსანის“ წინასიტყვაობაში უნდა იყოს მოხსენებულიო. ჩვენ გადაუშინვეთ „ვეფხვის ტყაოსანი“ და რამდენიმეჯერ ბეჭითის დაკვირვებითაც ჩაეყიდოთ და მის ყოველ ტავპის სტრიქონის თავსა და ბოლოსაც დიდად დავაკვირდით, მაგრამ ჩვენ იქ ვერსად რა ვპოვეთ. ასე გადაშინვევის გარდა ჩვენ ყოველი სტრიქონის თავი და ბოლო ასოები გადასწერეთ, ერთი მეორეს ჩაეუმწყრიეთ და დავუწყეთ დაკვირვება, მაგრამ მაინც არაფერი აღმოსაჩინდა.

საქართველოს ისტორიის ზოგიერთა მწერალნი დაბეჭი-  
თებით მოგვითხრობენ, რომ შოთა რუსთველი რუსთავის მთა-

ერის შეილი იყოვო. ამას თეომურაზ ბატონიშვილი მტკიცედ აღგია და უეჭვოთ ამტკიცებს. ამ ცნობის თანახმანივე არიან ყველა ძელი მწერლები და ესენი თითქმის ერთი შეორეს მისდევენ ჰაზრისა და ცნობის შეუცვლელად. შოველს ამა განს ის ჰაზრი აქვს გატარებული, რომ შოთა რუსთავეს რუსთავის მთავრის შეილი იყოვო. ამ ცნობების მეოხები და ჩვენებით ჩვენ შეუდექით თვით ამის გარკვევას და შე სწავლას, თუ თამარ მეფის დროს დაბა რუსთავის მთავრა რომელ გვარის პირნი იწოდებიან, მაგრამ ჩვენ ეს ვერ „მართლის ცხოვრება“ ში ვპოვეთ და ვერც ვახუშტის გეოგრაფიაში.

„მართლის ცხოვრებაში“ და ვახუშტის გეოგრაფიაში ძალიან ბევრი პირთ სახელები და გვარებია მოხსენებული, რომელნიც სამცხის მცხოვრებათა და გამგეთ იწოდებიან ყველგან, მაგრამ ის კი არ არის ჩვენებული თუ, რუსთავის მთავრათ ვინ იყო. შეკველი საგანი კია, რომ დღეს თუ არ ხვალ მაინც აღმოჩნდება ერთი ამისთანა წიგნი, ზუჯარი, ან რამე, სადაც მოხსენებული იქმნება სამცხის გამგე გვარი და სახელები და მაშინ უეჭვოდ და შეუცვლელად მტკიცდება რუსთველის გვარი და ვინაობა. აღმოჩენაზე ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, რადგანაც ჩვენ ხშირად შეგვიტან ხოლმე, რომ ძელად ერთი წიგნი ახსებობდა რომე შიაც აღწერილი იყო სამცხის მცხოვრებთ ქართველთავადთა, მოხელეთა და მთავართ ამბებიო. მანამ ამის ხებ რამე ცნობები აღმოჩნდებიან, მანამდის ჩვენ მოვიყენ იმას, რისაც შეძლება გვექნება. საქართველოს ისტორია „მართლის ცხოვრება“ ში და სხვა ისტორიულ წიგნები კეშმარიტებით მოვეითხოვდენ, რომ თამარ მეფემ ხარ რომ გაიმარჯვა, იმ დროს გამარჯვების სახსოვრად „ცათა ცათასა დამწეული“ სთქვაო. ვინა სთქვა ეს „ ამას „მართლის ცხოვრება“ იქვე არ უჩვენებს. ამის დროულ სხვა ძელი და ახალი მეისტორიინიც აღიარებენ და სხვათა შორის ბროსე და მოსელინიც მოვეითხოვდენ, რომ ხახუ-

ლის მღვთის მშობელზე, წარწერილი მანიაკი შოთა რუსთველ-  
მა დასწერაო. მს მანიაკი დაბეჭდილია 1863 წ. გამოცემულ  
„ვეფუსის ტყაოსნის“ ბოლოში. ამ დაბეჭდილის თავზედაც  
აწერია, რომ „მანიაკი თქმული“ „შოთა რუსთველისგანო“.·  
მს მანიაკი „მართლის ცხოვრების“ პირველ ტომშიც არის  
ჩართული; რომლის თავზედ შემდეგი წარწერაა:

„ხოლო დროშა იგი ხალიფასი, რომელი მიიღო შალ-  
ეა ახალციხელმან წარგზავნა ესე მონასტერსა დიდსა წინაშე  
ხახულისა დეთის მშობლისა, მგზავრად მამა-პაპისა მათისა.  
ვითარცა მაშინ დიდსა დავითს წარგზავნა მოძრა ცეილი  
ქედისაგან დორებზედ და ყისა-ძეს დიდ გვართა შანიაკი  
ოქროს შემცული თველებითა ძეირუასითა. მიზეზად ძლევისა  
შეწირვისა დამვედრებლობისა, მანაც ესე ვითარად ესე იამ-  
ბიკო ოც-და-ხუთ ლექსად აღწერა, „ვახუშტის ისტორიაში ეს  
მოხსენება ცოტა განსხვავებით არის მოხსენებული და ამი-  
ტომ მოგვყავს აქე: „ხოლო წარგზავნა დროშა ათაბაგისა  
ხახულისა დეთის-მშობლის წინაშე, ვითარცა პაპამან მისმან  
მანიაკი ყის ძისა (მართ.-ცხოვრება.) დორებეზისა და ყის-  
ძისა (გვ. 319). ესე იამბიკოა ხუთ მუხლედნი ოც-და-ხუთ  
ლექსად წარწერაო.“

ამ ადგილიდან არა სჩანს ნათლად ის თუ ეინ დასწერა  
ეს მანიაკი—ჟის ძემ, თუ ჟის ძეს სხვამ დაუწერა და მშო-  
ლოდ ჟის ძემ წარგზავნა მგზავრად ქართველთა ძველთა მა-  
მა-პაპათა. ამ ცნობების მეოხებით მე კი ჟის ძე თამარ-  
მეფის მანიაკის დამწერად მიმაჩნდა, და თუ ამაში შემცდარი  
არა ვარ და ზემოთ მოყვანილი აღვრლებიც სარწმუნოთ გახ-  
დებიან სხვათათვის, მაშინ, მაშა სადამე უცინოდ უნდა მიეი-  
ჭოთ ის ჰაზრი, რომ ჟას ძე რუსთველის გვარი უნდა იყოს.  
მაგრამ დავანებებ ამას მე თავს და უფრო სხვათა საყურადღე-  
ლო  
გაეხდი, რომ მათ განარჩინონ „მართლის ცხოვრების“  
ადგილები და განსაზღვრონ, თუ ეინ არის ჟას ძე და  
აა მას რათ იხსენებენ ისე გამოცემლეველად შოთა რუსთვე-  
ლის მანიაკის დამწერას სხენებითა.

იმედია, ეს მიმართვა უყურადღებოთ არ დარჩება და ქართული ისტორიული სკოლის წარმომადგენი მაღლე და ცხადათ განარჩევს, განსაზღვრავს და აღმოაჩენს იმას, თუ „მართლის-ცხოვრებაში“ მოხსენებული შას ძე ხომ არ არის შოთა რუსთაველი. მე მაინც ამ მოსაზრებას მტკიცე და შეურყეველს ხასიათს არ გაძლევ და გადაფიცარ მეორე, მაგრამ უფრო საყურადღებო მხარესა დი მასალაზე, რომელიც მოხსენებულია „მართლის ცხოვრების“ პირები ტომის 273 გვერდზედ. თამარ მეფის მამის ზიორგის მეფობაში სხვათა შორის მოხსენებულია შოთა ართავაჩოს ძე, მაგალითად აი როგორ;

„მაშინ შეიყარა ლაშქარი (ე. ი. ზიორგის მეფობას) ქალაქით თბილისით და მიმართა, და სომხეთისა მთასა შინა მყოფსა და ეკვეთნა ძლიერათ იორუნა და განაქცივნა ღიმიტრი და მიმღომნი მისნი: და შეიხვეწნეს ქალაქსა და ციხესა შინა ლორისასა და მოუხენა ყოველნი სიმაგრენი და ციხენი, რაოდენნი მას მძლავრებით დაეპყრნეს: მაშინ წარმოუვიდეს ღიმიტრის სარგის მხარგრძელს, შეილითა და ძმის წულისა მისითა, ძმა და საყარელი ორბელთა: ესე შეიტკბო და შეიყვარა მეფემან და მისუა მისანდობლობა მზგავსად გვარიშეილობისა მისისა და მომაბრძოველმან ტაშირის და ლორისა ეიღრე კართმდე, დაიბანაკა აგორთა: მაშინ ღიმიტრიმ მყოფმან ციხესა შინა ლორისასა, წარგზავნა ლაშქარნი, რომელნიცა დარჩომოდეს ერთგულებასა შინა მისსა და სხვანი თემისა მესხნი, თორელნი, ქართველნი, სომხითარნი და თეით გამზრდელი მისი მეჯინიბეთ-უხუცესი ჭიაბერი და მიეიდეს ქვეყანასა ჰერეთისისა და მუნით მოიხმეს ჰერეთის მრისთავი და ყოველ ჰერნი, სრულითა ლეკითა და შეიქმნეს ომნი ფიცხელნი და მკეთრ-კვეთებანი, რამეთუ იყვნეს ცა თრ კერძოვე გამოცდილნი და ლომნი ჭაბუკნი: ამასა შინა სძლო მსჯავრმან სიმართლისამან, და გაქცივნეს ჰერნი დიდებულნი, აზნაურნი. და ლეკნი: ხოლო შეიპყრეს ზრიგოლი

შსათის-ძე, ფიცხელი და კარგ მეომარი, თვით ხელ-დაკოდი-  
 ლებით და გამოკვლითა ცხენისათა. (შეიპყრნეს იონე ვაჩ-  
 დანისძე, რომელი ითქმოდა პირველთაგან ორ-გულად და  
 მთლად მთხოვბლისა, და მასთანა შოთაცა, ძე პრია-  
 გაჩის-ძისა. ესენი, ეითარცა შინათ გამცემელნი, განზრახ გან-  
 გებითა, ხელთ-იპყრნეს, წარმოვიდნეს, და მოვიდეს წინაშე  
 მეფისა ღეთივ-დაცულისა. ხოლო განიხარნეს სიხარულთა  
 დიდითა ფრიად ეინათგან ჰედვიდა ღმერთსა თანაშემწედ  
 თვისად ხელს ამცყრობელად და მარად დღე მარჯვეობისა  
 მომცემსა მჩავალს მადლისა აღუარებდა.“

მე ერთის მხრით ვთიქმობ იმაზე, რომ ამ შემთხვევაში  
 მოხსენებული შოთა პრიოვაჩის ძე—შოთა რუსთველი უნდა  
 იყოს. ეს მოხსენება უფრო საფუძვლიანად მიმაჩინა, ვი-  
 დრე პირველი, შიას ძის შესახებ. პრიოვაჩის ძის რუსთავე-  
 ლობას ჩენ ის უფრო გვათიქრებინებს, რადგანაც ამ მოხსე-  
 ნების შემდეგ თამარ-დედოფალი ერთობ მალე გამეუდა და  
 აღვიდა ტახტზედ. ასე სულ იქნება ხუთი წელიწადი იყოს  
 გასული, მეტი არ იქნება. მს მოხსენება მე ჩემს პირველს  
 ბორშურაშიაც უნდა შემეტანა და მელაპარაკნა ამაზე, მაგ-  
 რამ ამის უყურადღებობა ზორგი — ჯანაძის ისტორიაშ  
 მიყო.

ზორგი — ჯანაძის ისტორიის თანხმადევ განმარტავს  
 ჩებინოვი, რომ შოთა-რუსთაველი რუსუდან დედოფლის მე-  
 ფობაში იქრუსალიმიდგან დაბრუნდა საქართველოშით; ზორ-  
 გიჯანიძის ისტორიის თანხმადევ უმატებს, რომ რუსუდან  
 დედოფალმა რუსთაველი თათარ-ხანთადმი ელჩიდ წარგზავნაო.  
 ამ მოხსენებასთან ზორგიჯანიძის ცნობებში ბევრი სხვა ის-  
 ტორიული ცნობებია მოხსენებული, რომელნიც უეჭვოდ ამ-  
 ტკიცებენ რუსთაველის შესახებ იმას, რომ იგი თამარ-მეფის  
 შემდეგ რუსუდან-დედოფლის მეფობასაც უნდა მოსწრებო-  
 დაო. როცა ჩენ ამ ცნობებს ვკითხულობდით და ვარჩედით,  
 მაშინ შოთა პრიოვაჩის ძეც გვქონდა სახეში და მასზეც

ვფიქრობდით მაგრამ ზორგიჯანიძის მოთხოვბის თანხმად ჩეენ უფრო რუსულანის მეფობაში მოხსენებული შოთა ფილანით რუსთველად, რომელიც იქ „შოთა პეტრათ“ იწოდება, ჩეენ ვერც ამ საგანს და მოსაზრებას დავენდევთ, რადგანაც შოთა პეტრა „მართლის ცხოვრებაში“ ჰერეთის მცხოვრებად იწოდება და არა სამცხე საათაბაგო-ელად. ამ საგნის დასარღვევად ჩეენ თვალ-წინ გვიდგებოდა ის ცნობებიცა, სადაც მოგვითხოვბენ, რომ რუსთველი ჰერეთის მხრის რუსთაველი იყოვთ. ამ მოხსენებებს ამტკიცებენ ზეპირ გადმოცემითი ცნობებით, რომელნიც დაბეჭდილნი არიან რუსულად და უნდა ესთქეათ, რომ ეს ცნობები ისტორიულის შეცდომებით ისე არიან მოცულნი, როგორც ზოლოვინისგან დაწერილი რუსთველის ეპისკოპოსის მემკენეს სახელი შოთა რუსთველად არის აღიარებული. ზოლოვინი უფრო თეიმურაზის ცნობების მეოთხებით უნდა იყოს არეული, რაღაცაც თეიმურაზი თვეის ისტორიაში იმა-საც მოგვითხოვბს, რომ რუსთაველი ჰერელი იყოვთ და ერთ ალაგას იმასაც ამბობს, რომ სამცხელიო. ჩეენ იმ ღრის ის ჰაზრი გვაფიქრებინებდა შემდეგს, რომ ერთი კაცი როგორ იცოცხლებდა იმდენ ხანსა და როგორ მოესწრებოდა ზოორ-გი III მეფობას და მის ქალის თამარისას, ლაშასას და შემდეგ კიდევ რუსულანისასაც. ეს ხანა ჩეენ ერთობ დიდათ ვპოვეთ და ამიტომ შოთა ართავაჩოს ძეს გვერდი აუქციეთ და პეტ-რა შოთას შეექეთ, რაღაც ამის შესახებ სხვანიც გვაუწყე-ბენ. ახლა კი ჩეენ იმ მოსაზრებას დავადევით, რომ უფრო შესაწყნარებელი უნდა იყოს ის ჰაზრი, რომ ზოორგის მეფობის ღრის მოხსენებული შოთა ართავაჩოსძე უნდა იყოს შოთა რუსთაველი და არა შოთა კუპრი.

აქ ისიც შეიძლება ვიფიქროთ, რომ ზოორგი მეფის ღრის შოთა ართავაჩოს ძეს თამარის მეფობისთვისაც მეე-სწრიო, ლაშასი და შემდეგ რუსულანისთვისაც, თუმც ეს ხა-ნი ერთობ გრძელია და საეჭვო. ამ ეჭვს ჩეენ რუსთველის

სახელ-დებაც გვაუწყებს, რომ ზორავის მეფობაში შოთა ართა-  
 ვაჩის ძედ არის მოხსენებული და რუსულან დედოფლის დროს  
 კი „ქუპრა შოთად.“ ამ საეჭვა სავნის გასამართლებლად და  
 აღსადგენათ ჩეენ შემდეგი ჰაზრი გვებადება, რომ ვიქონიოთ  
 როცა შოთა რუსთაველი ართავაჩის ძეთ იწოდებოდა, მაშინ  
 ერის კაცი იყო, და როცა შოთა-ქუპრად, მაშინ ბე-  
 რად. ამას ვფიქრობთ ჩეენა, მაგრამ დაჭეშმარიტებით მაინც  
 არა გვწამს ეს, რადგანაც ამის წინააღმდეგ „მართლის ცხოვ-  
 რების“ შედევი ცნობებით საყურადღებოთ სადაც მოხსენე-  
 ბულია, მიგვაჩნია, რომ შოთა ქუპრი ჰერელი იყოვი. თუ  
 შოთა ქუპრას „ჰერელათ“ მივიღებთ და მასთანვე ამასვე ვიც-  
 ნობთ შოთა რუსთაველათ. მაშინ თემისურაზი უნდა გამართ-  
 ლდეს თავის ცნობებითა და ჩეენც უეჭეოდ ეს უნდა ვიცნათ  
 შოთა რუსთაველად; თუ ამ მოსაზრებას უარს ეყოფთ, მაშინ  
 ჩეენ შოთა ართავაჩის ძე უნდა მივიღოთ შოთა რუსთავე-  
 ლად. ამ აზრს ვაღვევართ ჩეენა და ვაცხლებთ, რომ შოთა  
 რუსთველის გვარი ართავაჩის ძე უნდა იყოს. ამას მე ისიც  
 მაბეჭდეინებს, რომ „მართლის ცხოვრებაში“ ართავაჩის ძე  
 სამცხის მცხოვრებად იწოდება. მს გვარი ძელადვანვე მოის-  
 პო საქართველოში. ამ გვარის ხალხთა შესახებ მკაფიოთ  
 სჩანს, რომ ართავაჩის-ძენი თავადის შეილები უნდა ყოფი-  
 ლიყვნენ. მაინც ჩეენ ჩეენს მოსაზრებაებს არ ვასომთ მტკი-  
 ცე და დაურღვეველს ბეჭედს. ამ ცნობების გარდა მოვცყას  
 კიდევ სხვა ცნობებიც, რომელნიც პირ-და-პირ რუსთველის  
 გვარის გამორკვევებს შეეხება. როგორც ზემოთაც მოვიხსე-  
 ნეთ ძელის დროის მეისტორიეთავან დაჩენილი ყოფილა-  
 ის ჰაზრი, რომ შოთა რუსთველს გვარი და სახელი თვით  
 „ვეთხვის ტყაოსანში“ უნდა იყოს მოხსენებულიო. სხვათა  
 შორის მეფის მრავლის დროის არხიმანდრიტ გამალიერ გამ-  
 რეკელს უთქვამს, რომ შოთა რუსთველი გვარად გამრჩეკელი  
 იყოვი, ეს ანბავი ძელადგანვეა დაჩენილი საქართველო-  
 შით. ამის დასამტკიცებლად ამ არხიმანდრიტს „ვეთხვის-

ტყაოსნის“ 143 ტაქბის ორი სტრიქონი მოუყვანია, სადაც  
 გამრეკელიც არის მოხსენებელიო, მაგრამ ჰაზრის დაბუნდეის  
 გამო სიტყვას ერთი ასო აქვს შეცელილიო, და იმიტომ აღნი-  
 შნული გვარი თვის ჰაზრს ჰყარგავსო, მაგალითად უნდა იყოს  
 გამრეკელიო და არის „გამდრეკელიო.“ პი როგორ არის მო-  
 ხსენებული:

გ დ

### ხალხური ლექსიგი.

უი, შენ-კი გენაცეალე,  
 რომ გიღიღინებს ჟელია,  
 გაგიძრიელდეს მოკეთე,  
 დაგიმონავდეს მტერია.

ეხლა იქიდან გიახელ,  
 გადმოვიარე რაჭაო;  
 თქვენსა რომ ღვინო დავლიე,  
 უელზე დამადგა ჭაჭაო.

ბიძია გადამეკიდა, ნიმნობა რათა ჰქენია:  
 თუშის ქალზე დავინიშნე, დაბალია და სქელია.  
 მოსაუგანათ რომ წაველი, ცხენს მომიწუვიტა წელია,  
 ავდექ ურემი შეუბი, ფერსო გატესა სქელია.  
 ზურგზე რო წამოვიკიდე, იმან მამწუვიტა წელია,  
 მაშინდელს ავადმეოფობას დღესაც გერ აუდექია.

მეღვინევ, მოდი მშვენებით—  
 ახალი წელიწადია;  
 საფსე დაასხი სტაქნები—  
 ღლეს კაი ლხინი მწადია.

---

ქალო ადი მაღლა ხეზედ,  
 გადმოჟარე ბროწეული;  
 ერთი აქეთ გადმომიგდე,  
 შენი ხელით მოწეული.

---

მეჯვრიხეო, შემკობილო,  
 წინ მინდორო, უკან ტუეო,  
 გოგოების სათამაშო,  
 ბიჭებისა სამოთხეო.

---

## ქართული თეატრი

---


თოხშაბათს 28 იან. არტისტი ქალი საფარ. აბაშიძ. საბენეფი-  
 სთო ქართული დრამატული დასისაგან წარმოდგენილი იქთ ჩვენი  
 სახელოვანი პრეტის აკაკის ისტორიული თხს—მოქმედებიანი  
 დრამატული პრემია კარმარ ცბიერი“. ამ წარმოდგენაშ ერთხელ  
 კიდევ დაგვიმტკიცა, რომ ჩვენ სცენას ჰყავთ ნიჭიერი არტისტები;

კოისელ ჭიდებ დაგვიმტკიცა, რომ თუ ჩვენ დასს რიგიანი და  
საქმის მცოდნე რეაისორი კუთლება — მაღა ადმაღლება და მიაღ-  
წევს თავის დანიშნულებას.

ବ୍ୟେନ୍ଦ୍ର ମର୍ଯ୍ୟାଳୟଙ୍କେରେଇ ୧୦. କର୍ତ୍ତବ୍ୟରେଖାରେ ଏହି ପାଇଁରୁଥିଲାଗି ଶ୍ରୀ  
ଜ୍ୟନିତ ଓ ମର୍ଯ୍ୟାମ୍ବିଦ୍ୟାବିନୀରେ ଉଚ୍ଚବ୍ୟାପୀନୀ, ଅତିଥି ଏହି ପାଇଁରୁଥିଲାଗି କେବେ,  
କୌଣସି ଏହି ପାଇଁରୁଥିଲାଗି କୌଣସି କାହିଁଏବେଳେ ଏହି ପାଇଁରୁଥିଲାଗି  
କୌଣସି ଏହି ପାଇଁରୁଥିଲାଗି କାହିଁଏବେଳେ ଏହି ପାଇଁରୁଥିଲାଗି କାହିଁଏବେଳେ

ჩემი ვერ წარმოვადგენდით. რომ ჩემი დასი შეიძლება გა-  
დასილი ზიქსის ასე გარეათ წარმოდგენას...

კისაც კი თეატრის საქმე სასარგებლო საქმეთ მიაჩნია და  
მისა წან მსვლელობა—ასარების ბევრს ინანებს თუ ამ წარმო-  
გენის არ დაქციროთ.



დრამატიული ხელოვნება.

ପ୍ରିୟମି, ଶାନ୍ତ-କ୍ଷାଫ୍ରେଣ୍ଡ ଓ ଶାମ୍ଭାଗୁଣ୍ଡା.

ନୟାମରୁ ଗରିମି, ଅଗ୍ରହେତ୍ରେ ତ୍ରାନ୍ତ-ସାପ୍ରେଲ୍ସ, ବାରାଲ୍ସ ଓ ସା-  
ମ୍ବ୍ୟାଲ୍ୟୋଦାଳ କିର୍ତ୍ତେଲୀ ଏଫ୍‌ଗିଲ୍ୟ ଉପିର୍କାର୍ଯ୍ୟ ତ୍ରିପିଳ ଗାର୍ହେତ୍ରିନ୍‌ଜୁଲ୍ ଗା-  
ମିଶାକ୍ୟୁଲୋଦାଳି. ଅକ୍ଷାମ୍ବୁ, ନୟାମରୁ ଗରିମିନ୍ଦ୍ରାଜ୍ୟାଶି ଉପରୀ ମ୍ବ୍ୟ-  
ତ୍ରାଦ ଶାକିରାମ ଗାର୍ହେତ୍ରା ମି ଦରାନୀଳ ଓ ପ୍ରକାଶିତ, ନୟମ୍ବେଲ୍ସାପ୍  
ଏକ୍ୟୁଟ୍ରେନ୍‌କ ତିଙ୍ଗିରୀ ମନ୍ଦିରେଲ୍ୟା, ମ୍ବ୍ୟତ୍ରାଫର୍ମ ତର୍ଜୁ ତିଙ୍ଗିରୀ ସିତ୍ରାନ୍ତିର୍ବ୍ୟ-  
ଲୀ ଓ କ୍ରାଂସିଯୁକ୍ତରୀ. ନୟାମରୁ ଏକ୍ୟୁଟ୍ରେନ୍ କାର୍ଗାର ପ୍ରାଚୀନ ପ୍ରାଚୀନ  
ତର୍ଜୁରୀ ଓ କ୍ରାଂସିଯୁକ୍ତ ମି ଦରାନୀଳ, ରାଜାନୀଳାପ୍ର ଏକ୍ୟୁଟ୍ରେନ୍‌କିନ ତିଙ୍ଗିରୀ  
ମନ୍ଦିରେଲ୍ୟା ମନ୍ଦିରେଲ୍ୟା କିନନି, ମାତିନ ମାତ ଏଣ ଗ୍ରାମନ୍‌ଦେଲ୍ୟା ତ୍ରାନ୍ତ-ସା-  
ପ୍ରେଲ୍ୟିକ୍ସିତ, ବାରାଲ୍ୟିକ୍ସିତ ଓ ଶାମିକ୍ସିତ କ୍ଷେତ୍ରେବୀ, ନୟମିଲୀଳ ଏକ୍ୟୁକ୍ତରୀ  
ଦୀର୍ଘ ବୈଷ୍ଣଵତଥିଲ୍ୟ ମାର୍ତ୍ତିକ୍ସିତ. ଶାକ୍ତାମାଧ୍ୟତ ସିତ୍ରାନ୍ତିର୍ବ୍ୟଲୀ ତ୍ରାନ୍ତ-  
ସାପ୍ରେଲ୍ୟିକ୍ସିତ ଏକ୍ୟୁକ୍ତ ମନ୍ଦିରେଲ୍ୟା ମନ୍ଦିରେଲ୍ୟା ମନ୍ଦିରେଲ୍ୟା ଓ  
ଏକ୍ୟୁକ୍ତ ତର୍ଜୁ ଏକ୍ୟୁକ୍ତରୀ, ଏକ୍ୟୁକ୍ତ ତର୍ଜୁତରୀ ଏକ୍ୟୁକ୍ତରୀ—ସିତ୍ରାନ୍ତ-  
କ୍ରାଂସିଯୁକ୍ତ କ୍ରାଂସିଯୁକ୍ତ ଗାର୍ହେତ୍ରେଲ୍ୟା ଏକ୍ୟୁକ୍ତ ରାଜାନୀଳ ରାଜାନୀଳ

ინსამოსი და სამკაულობა ჰქონდათ. მს საგანი უფრო სპეციალისტების საქმეა.

ტანთ-საცმელი კი ახალი ღროისა უფრო ადვიდი ასაჩჩენია, მაგრამ აქაც მართებს აქტორს დაკეირვება, რადგან ყოველ ხუთი წლის შემდეგ, რაღაც „მოდა“ რომ იციან— დაუღალავად იცვლებოდა. ზანსაკუთრებით საქმეს აძნელებს ქალების კაბები და სამკაულები—მაგრამ ჯერ ერთი მაგალითი არ ყოფილა, რომ აქტრისა ცუდი ან „უმოდო“ ტანთ-საცმელით გამოსულიყო სცენაზედ—აქტრისები თითქმის ნამეტნავათ ცდილობენ ტანთსამოსზედ.— მათ ეს უნდა დაიხსომონ, რომ გემო გახსნილი, ესტრეტიური გრძნობის მცდლე მაყურებელი არას ოდეს არ დაჩჩება კრაიკული თუ არტისტკა მარტო თავის ტანის სიმშვერიერებედ ჰფიქტობს და არა ტიპის მართალ გამოსახულობაზედ გარეგნული სამკაულობის შერით.

ხან-და-ხან როლი თხოულობს, რომ შოთამაშე გამოვიდეს სცენაზედ დაგლეჯილი ტანთსამოსით და ზოგს აქტორს დიდ საქმედ მიაჩინა თუ გამოვა სცენაზე, მართლა დაგლეჯილ დაფლეთილი ტანთსაცმელით. მა ღიდი შეცდომაა.

სასცენო ხელოვნებას მვტად ეჯავრება, ყოველისფერი ძველი და ჭუჭყანი. სცენა არასოდეს არ იყო და არც იქნება ნაბდეილი ჩეენი საყოველდღეო ცხოვრება და სიცოცხლე—უკეთ რომ ვსტკვათ: სცენას მიზნათ აქვს გვაჩვენოს გამოხატვით, წარმოდგენით და მიმსგავსებით კაცობრიობის ცხოვრების აღმა-დაღმა ტრიალი და ამიტომაც უგონებთ, რომ ხსენებული აქტორების უადგილო და უხევრო რეალური, გულმოღვინება ბუნებრივ გარეგნობაზედ, საქმეს თუ სრულიად არ გააფუჭებს, თავის დღეში წინ არ წასწევს.

წალებიდან მოყოლებული ქუდამდინ აქტორს ყოველის ფერი შესაფერა, მოწყობილი და სუეთა უნდა ჰქონდეს.

თუ საჭიროა როლისათვის რომ აკტიორს ჭუჭყანი ჰერანგი ეცეს სრულებით საქმისია, რომ პერანგი გახამებუ-

ლი არ იყენეს. მსოფლიო თხოულობს დახეულ შარ-  
 გალს—ეს იმას არ ნიშნავს, რომ უთუოდ დახეული უნდა ჩა-  
 აცეს, მუხლები უჩანდეს—ეს შეცდომა, ურცხობაა. სრულიად  
 კმიტა თუ ახალს შარგალს დაეკერება ზევით რამე ნაჭერა,  
 რომელიც დაემსგავსება დახეულს და სინამდვილესაც არ მო-  
 შორდება. თუ ყასაბის, ბაზარის ანუ მიკიტნის ახალუხია საჭირო  
 სცენაზედ, აქეზან ის არ გამოდის, რომ აქტორი უთუოდ  
 გაქონილი და დოშით აყროლებული ახალუხით გამოვიდეს.

მრთის სიტყვით, ნურაეს ნუ ჰეონია რომ სცენაზედ  
 ჩეენი ნამდვილი ცხოვრების გადატანა შეიძლებოდეს, სცენა  
 არის მხოლოდ ცხოვრების სარკე და არა თვით ცხოვრება.

ვიღრე აკტორი სცენაზედ გამოვიდოდეს ფარდის ახდა-  
 მდინ უნდა ყველაფერი გაისინჯოს: მაგრათ აქეს იარალი,  
 პარიკი და სხვა ეკსესუარები თუ არა; — ხშირად ყოფილა ესეთი  
 მაგაგლითები როდესაც აქტორს სცენაზედ შარგალი ჩა-  
 ჰვარდინა.

ყველაფერი ზომიერად უნდა იყენეს, კოსტათ იჯდეს ტან-  
 ზედ. მრთი შენიშვნა აქტორისებს. მსენი ძალიან ხშირად იც-  
 მენ მოკლე კაბას და ამ რიგათ ფეხები კანჭებამდინ  
 მაყურებლისათვის ნათლათ მიაჩინს, ეს ცუდი ჩეულებაა. რა თქმა უნდა ტეატრში ყოველთვის მოიპოვებიან ისეთნი,  
 რომელნიც მაგისთანა შემთხვევას ზეციდან მანან ასავით  
 ელიან, მაგრამ სიმართლე ჩეენკენ არის.—

ვერჩატკები, ყელსახვევი და სხვა მაგისთანა რამ ყოველ-  
 თვის წმინდა უნდა იყენეს. დიდი ყურადღება მიეცევეა აგრე-  
 თვე პერანგებს. შემცდარია ის აქტორი, რომელიც ფიქრობს  
 რომ ღამეა და ჩემი პერანგის სისუფთავეს ხალხი ეერ დაი-  
 ნახავსო; — ეს ტყუილი იმედია — მაყურებელს ახაფერი არ გა-  
 მოეპარება. ბათასი კაცი ერთს კაცს როცა მიაჩირდება, მა-  
 შინ ტყუილი იმედია კონდრაბანდით გატანა თავის ნაკლუ-  
 ლევანებისა. წარმოდგენის დროს პერანგი ყოველთვის შეი-  
 ძლება გამოიცვალოს:

იარაღებს ფარდის ახდამდე გასინჯეა უნდა, თორემ ბევრ-ჯერ აქტიორი ძალზედ ეწევა ხანჯალს, მაგრამ მისდა-სამწუხა-როდ ხანჯალი გაჭედილია, არ ამოდის ქარქაშიდამ და ამაზე ხალხს სიცილი მოსდის.

ამით დაეაბოლოვებთ ამ წერილს. ზრიმი, ტან-საცმელი და სამკაულობა აქტორს ყოველთვის ხეირიანი უნდა ჰქონ-დეს, რადგან ესენი მხოლოდ გარეგნობას შეეხება და მაშა სადამე ადვილი შესასრულებელია, თუ კი აქტორი არ დაიზარებს და ხალხის ყურადღებას კრძალეთ მოექცევა.

3.—



## ო მ ც ე ქ ც ე ბ ი .

### I

მეგობრებზე.

\* \* \* თუ მეგობარი გუაგს, ცოდს ნუ შეირთავ—და თუ შეირთე—მეგობარს დაქმორდი. თორემ შენი მეგობარი ეცდება, რომ შენი ცოდის გულში უგრო დიდი ადგილი დაიჭიროს და ეს—ძალიან საშიშია.

\* \* \* მეგობარმა რომ გითხრას ამა-და-ამ ადგილს მაგ: მარჯვნივ გავისეიონებთ მედა შენი ცოდით—ნუ კნდობი, თორემ „მარჯვნივის“ მაგიერ მარცხნივ წაიყვანს, და უკუღმა სიარულში ადგილია წაძებება.

\* \* \* თუ მშვიდობიანი ცხოვრება გიყვარს და შენმა ცოდ-მა დაიწეოს შენი მეგობარის ქება და იმისა ღირსების აღწერა— გადაიგარება ისეთ აღაგს, სადაც არც გიცნობენ და არც არა-ვის იცნობ; აქ კერავიჩ გაიცინებს შენს რეგბზე.

## II

\* \* \* დედათა სქესმა უჩვენდაც ჭარბათ იცის სად როგორ  
მოიძებეს, ამისათვის მამათა სქესს გატევი თრითდე სიტევას.

თუ გინდა ქალმა შეგიძლეს — თავი შეუვარებულად აწყენა  
და ხშირად ელაპარაკე შენის გულის გრძნობებზე.

## III

## უშლევ.

\* \* \* თუ არ გინდა რომ შეეგანაზე გამომარავდე — ასდად  
გამდიდრებულს ფულს ნუ ესესხები.

\* \* \* თუ გინდა, რომ გარეს ამსანაგს, მეგობარს და შორ  
ენ — ფული ისესხე იმისგან ან ასესხე.

\* \* \* თუ ძაღიან გაჭირებაში ჩაქარდა და გინდა, რომ მე-  
გობრები მაიანც არ დაჭირო — არც კრთს მათგანს ფული არ  
ესესხო: არც გასესხებქნ და თვითონაც დაგმორდებიან.

\* \* \* ესდანდედი მეგობრობის სამედვარი ღწრო და კერ-  
ცლა; ესენი გამოგელია? — შენ მეგობარს ხმა აღარ გასცე,  
თორემ ამით დიდს შეურაცეოფას მიაყენე.

## IV

## სამსახურის პაციენტები

თუ გინდა სამსახურში დასწინაურდე — რა წამს მასგადე  
სამსახურში, ადე ჭალი ხელში, მიუკეც სტოლს და, თუ გინდა,  
სულ ნურაფერს გააკეთებ, ღღლანდ, როდესაც შენმა უფროსში  
ახლოს გამოგიაროს დაიწუე ჭდაბნა. ამასთან არ დაგავიწედეს,  
რომ თუ უფროსშია რამე სასაცილო ამბავზე დაიწეროს დაშარავი —  
დიდის მოწინებით დაუგდე უური და როდესაც გაიცინოს (უსა-  
თოვოდ გაიცინებს იმიტომ, რომ თავის აზრით, ის გიმტეაცის  
თავის თავ-ძრაბლობას) შენც სულელვით გაიღრიშე.

შემთხვევაში სულელური გადარეჭვა რამდენიმე, კიბეზე აგანტუ-  
 ნებს; მაგრამ უკედა ამას ისა სფოს, რომ ის სან-და-ხან გაჭირვე-  
 ბიდგან დაისხნა ხოლო!.. — ეს იცოდე, თუ სიენბულს სიკეთეს ნა-  
 ხავს შენში — ძაღლიან ხშირად ჩაგარდება გაჭირვებაში და რამდენ-  
 ჯერაც გამოიხსნი — იმდენ ფეხს ასდგამ წარმატების კიბეზე...  
 თუ გერც ერთ რჩებას გერ შეასრულებ — სამისასურს თავი დაანებე...  
 თუ სხვა სამისასურში იმოვდ რამე ადგილს — იქ თავი აღარ და-  
 ნებო — სანამ არ გაგადებენ.

შლექსანდრე გიკვილიძე.

### კვირიდან-კვირამდე.

◆ ამერიკულები გასაკვირველი ხალხია, ერთმა ამერიკულმა მოიგონა  
 საშუალობა თუ როგორ უნდა გადინადონ სახლის ქირა. ამ ბაცონში დაბე-  
 ჭდა გაზეთში შემდეგი განცხადება: „გინც გამომიგზავნის 20 პტენიგს, მე შე-  
 ვაცყობინებ თუ როგორ ადვილად შეიძლება ფულის შოვნა სახლის პატრი-  
 ნის დასაცავოფილებლად.“ რასაკვირველია ბევრმა გამოუგზავნა ოცნები  
 ჰევნიგი. გამოგზავნილი ფულებით გაუსწორდა თავის სახლის პატრინს ქი-  
 რაში და გამომგზავნელებს მისწერა: „თქვენც ისე მოიქეცით, როგორც  
 მე“ — რ.

◆ ინგლისის გაზეთები ძალიან გართობილნი იუვნენ შემდეგ ამავ-  
 გე ლაპარაკო: შეერთებული შტატების კონსულათ ნამყოფი ბ. ბადომ უამ-  
 ბოთ შემდეგი შემთხვევა: როდესაც გენერალი გრანტი თავის მოგზაურობის  
 დროს, მოვიდა ლონდონში — კოროლევამ დაჭპატიქა თავისი ცოლით სადი-  
 ლათ. გრანტის ცოლიმა გადაწყვეტილ გამოუცხადა მოპატიუეო, რომ თუ ჩემს  
 შვილისაც არ დაჭპატიუებთ, არც მე წამოვალო. სასახლის მხლებლებმა ბევ-  
 რი ფიქრის შემდეგ გადასწუვიტეს, რომ შვილიც დაეპატიუნათ. სადილი  
 გაშალეს მაგრამ დენერალი თავის ცოლით მიმპატიუეს კოროლევას სტოლ-  
 ზე და შვილი — სასახლის მხლებლების: აფიცერების ადიუტანტებისა და სხვ. სუ-  
 ლორაზე. ახალგაზდა „უქს“-მა მოახსენა: „მე დაჩვეული ვარ, როდესაც სადილით  
 მეჭატიქება ვინჩე, სასაღილოთ უსათოვოდ მასთან ვზიდარ ხოლმე და ექლაც

ისე მოგოქცევი: ან კოროლევასთან, ერთად ვისადიღებ; ან არა და სულაც  
 არა ვჭამ სადიღლხათ. ამაზე მიუმართეს იმის მამას, მაგრამ მამამაც შვილის  
 მხარე დაიჭარა. მეტი ღონე არ იყო კოროლევასათვის უნდა მოეხსენებინათ.  
 ამაზე ტორალევამ ბრძანა: თუ კი აგრე ძალიანა ჭერის ჩემთან ჯდომა—მო-  
 ბრძანდესო... ერლა ზოგი ამბობს რომ, გრანტის შვილი უზრდელი ყოფილია,  
 რომ სასახლეში მიღებული წესი დარღვას, ზოგი ამბობს, გრანტის შვილი  
 უსწავლებია ინგლისელებისათვის—დაპატიუბული სტუმრების მიღებათ, ზო-  
 გი რას ამბობს და ზოგი რას. მე ვამბობ რომ ჯესი „უოჩალი ბიჭი“ ყოფილა

## წ ვ რ ი ლ მ ა ნ ი

\* \* \* ერთმა მოსუცებულმა იჩივება სასამართლოში: ჩემი შვილები  
 არ მინახავენ, ერთ ღუქმა შერს არ მაწვდინოდა და ბოლოს და-  
 უმატა: როცა მოგებელები რა იმედი უნდა მქონდეს, რომ იმათ დამ-  
 მარსონოდ! მსაჯულმა გადასწილია, რომ შვალებს უნდა შეენახათ  
 ეს მოსუცებული და გარდაწერილების შემდეგ უთხრა მოხივარს:  
 თქენს დამარსებაზე ჯერ ვერაფერს გეტუვი თქვენს შვილებს, იქნება  
 დაგმარსონ, კინ იცის, და თუ არ დაგმარსევენ—სახივარი შემთ-  
 იტანერ.

\* \* \* ერთ ჯარის გაცს ტრაპასთა მაღიან უუგარდა. ზოგჯერ იქა-  
 მდის გაერთობოდა ხოლმე სიცელეში, რომ არ იცოდა რას  
 ამბობდა და რას არა.—ამ გაუბატონმა ერთხელ დაიდო სმაღზე  
 ხელი და თავ მოწონებით სთქვა:

აა ამ სმაღით ამიანობის დროს სამი თათარი ერთად მოვ-  
 გალ და მარჯვენა ხელები დაგაჭრო!

— რატომ თავები არ მოსჭერო, უპასუხეს ამხანაგებმა.

— ბარემ მეც კი მინდოდა თავების დაჭრა, მაგრამ რადა  
 უნდა მექნა, რომ თავები უკეთ მოჭრიდი წერნდათო! მიუგო ტრა-  
 სასამ.

\* \* \* ერთმა წევრ-ულვაშ მოპარსულმა გამომძინელმა მიწართა გამოძიების დროს ერთს „რასკოლნიკს“: თუ შენი წევრები გწამს, თუ სინიდისი უფრო მეტი გაქვს წევრებზე — მართალი სთქიო.

— ბატონი! თუ ქვენ სინიდისს ჭრომავთ წევრებით, მაშ თქვენ სულ უსინიდისო ბრძანებულხართო — მიუგო „რასკოლიკა.“



„ოქატრის ფოსტა.“

ოფლა... ვი. გ. ბურ.—ქეს. ოქვენს წერილს დასტურია თქვენი ბრძენია — ბრძენბა... ნეტავი იმას, ვისაც თქვენისთანა მასწავლებელი ჰყავს... ჩვენ წყალში თვევზს არ ვაფასებთ, ამისათვის არც აჭი, “—არც არა!“



წერილის პასუხად გ. თუმ... შვილს.

ეხლა გვიან არის: არც დრო გვაქვს და არც ადგილი, რომ პასუხი მოგცეთ. კარგად გცოდნიათ რომ ეს ნეტერი უკვე ამოწყობილი იყო... ამისთვის ჯერ-ჯერობით წაიკითხეთ „ივერიის“ წარსული წლის № 102: აი, იქ რათა სწერენ: „ესაცის გაბიაბრუება თვისებაა სულელისა. პირ-ფერობა თვისებაა მონისა“. 



რედაქტორი-გამომცემელი გ. აბაშიძე

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

საქოველ - კიბირაო სალიტერატურო და სამ-  
ხატვრო გაზეთი.

## „მ ა ბ ტ რ ი“

გვ.მთავა 1887 წელს იმავე პროფესიათა და შინააცხადით რო-  
გორც აქამდე, წლის ბოლოს გაზეთი თეატრიდგან შესდგება  
ორი დაზ წიგნი, ორმედიც შეიცავს 1664 გვ.წელს.

თეატრში დაიბეჭდებათ სხვათა შერის: მოთხოვბანი, რო-  
გორც როინიალური აგრეთვე საუკეთესო უცხო თხზულებათა  
თარგმანი, ბიუსები, ანგლოტები, მოსწრებული სიტუაციი, გასარ-  
თობები, საღწეული დექსები, სამატემატიკო გამოცახება, ასდაზები  
გრიტიგა, ბიბლიოგრაფია, რეცენზიები და სხვა და სხვა...

რადგანაც აქა-იქა სოფლებში მატყულობს რიცხვი სტენის  
მოუკარეთა, ამისთვის რედაქცია თავის მოვალეობათა ქრანებს და-  
აკმაყოფილობს მათ სურვილი სცენაზე ადვილად წარმოსადები  
ჰქისების ბეჭედით.

გაზეთ თეატრში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი საუკეთესო  
მწერლები.

რედაქციას უსპე აქვს რამდენიმე ასაღი როინიალური თხზუ-  
ლება ჩვენის გამოხენილის მწერლებისა.

 წლიური სელის მომწერნი წლის დამდებს მიიღებენ სა-  
ხურავ აქტოს გარებას ედაში შეკრულს დაზ წიგნს, რომელ-  
შიც იქნება არა ნაკლებ სამი კლასიური ჩიქსისა და რომელიც  
ედირება არა სელის მომწერთათვის თან მანეთი.

ფასი გაზეთი თეატრისა: ერთი წლათ 5 გ. ნაკეთა წლით 3 გ.

რედაქციის განცრონა არის აქტომცემდების ქუჩაზე № 48.  
(სემინარიის პირ-და-პირ.)

ადრესი გარეშე სელის მომწერთათვის:

Тифлісъ. Контора редакціі газеты „ТЕАТРЪ“.  
Серебряная ул. № 48 (противъ Семинаріи).